საყრდენი ბურჯები

მმართველებს არ შეუძლიათ გადასახადების დამოუკიდებლად აკრეფა, მჩაგვრელი კანონების მიღება, მატარებლების განრიგის ზუსტად დაცვა, საგზაო მოძრაობის მოწესრიგება, პორტების მართვა, ბიუჯეტის მომზადება, ფულისა და საფოსტო მარკების ბეჭდვა, გზების შეკეთება, პოლიციისა და არმიის წვრთნა ან, თუნდაც, ძროხის მოწველა. ხალხი, სხვადასხვა ინსტიტუტების მეშვეობით, უზრუნველყოფს მმართველისთვის ამ და სხვა სერვისების განხორციელებას. თუ ხალხი უარს იტყვის მმართველის დახმარებაზე და საკუთარ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს აღარ მოახმარს მისი სურვილების ასრულებას, მმართველი ვეღარ მართავს. მას შემდეგ, რაც გავიგებთ, რომ ეს პოლიტიკური ძალაუფლების მოქმედების პრინციპია, შემდეგი ნაბიჯია, გამოვიკვლიოთ, თუ როგორ ხდება მისი პრაქტიკული აღსრულება. ხალხი ძალაუფლების მატარებელია, მაგრამ ძალაუფლების აღსრულების მეტად ეფექტური ფორმაა გაერთიანებებისა და ინსტიტუტების მეშვეობით მისი აღსრულება, როგორებიცაა - პოლიცია, საჯარო სამსახური, პროფესიული გაერთიანებები, ბიზნეს გაერთიანებები. ასეთი ინსტიტუტებიდან ზოგიერთი შეიძლება თქვენ გიჭერდეთ მხარს და ზოგიც - თქვენს ოპონენტს.

მინიშნება

თუ ხალხი უარს იტყვის მმართველის მხარდაჭერაზე, მმართველი ვეღარ შეძლებს მართვას.

მხარდამჭერ ინსტიტუტებს ჩვენ ძალაუფლების ბურჯებს ვეძახით, რადგანაც ისინი მხარს უჭერენ საზოგადოებაში არსებული ძალაუფლების ფუნქციობას. არაძალადობრივი კამპანიის დასაწყისში არსებული ბურჯების უმრავლესობა თქვენს ოპონენტს დაუჭერს მხარს. თუ შეძლებთ და, კამპანიის მიმდინარეობისას, მათ მხარდაჭერას გამოაცლით თქვენს ოპონენტს (და ზოგიერთს, საერთოდაც, თქვენ მხარეს გადმოიყვანთ), ის ვეღარ შეძლებს კონტროლის განხორციელებას.



სასწავლო მიზანი 1: განმარტე საყრდენი ბურჯები.

ჩვენი მიზნებისთვის, საყრდენ ბურჯებს განვმარტავთ შემდეგნაირად:

"საყრდენი ბურჯები ეწოდება ინსტიტუტებისა და საზოგადოების ორგანიზებულ ჯგუფებს, რომელთა მხარდაჭერაც აუცილებელია მოქმედი რეჟიმისთვის - ძალაუფლების შენარჩუნებისა და მეტად გავრცელების მიზნით."

ჯინ შარპი, არაძალადობრივი კონფლიქტის წარმოება

ყველა საზოგადოებაში განსხვავებული ძალაუფლების წყაროების მოძიებაა შესაძლებელი. მათ შორის, შეიძლება იყოს: პოლიცია, ჯარი, საჯარო მოსამსახურეები, სასამართლო, საარჩევნო კომისია, განათლების სისტემა, სახელმწიფო მედია, ბიზნეს გაერთიანებები და სხვა ორგანიზაციები.

მნიშვნელოვანია:

იცოდე განსხვავება საყრდენ ბურჯებსა და სოციალურ ფუნქციებს შორის.

აღნიშნე, რომ ჩვენ არ ჩამოგვითვლია სხვადასხვა სოციალური ფუნქციები, როგორიცაა ეკონომიკა ან რელიგია. საყრდენი ბურჯები ის ინსტიტუტებია, რომლებიც თავად ქმნიან სოციალურ ფუნქციებს ან ინარჩუნებენ მათ საჯარო სივრცეში. თუ საზოგადოებაზე გავლენის მოხდენა გსურს, გამოკვეთე და ყურადღება მიმართე იმ საყრდენი ბურჯებისკენ, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვან სოციალურ ფუნქციას ახორციელებენ არსებული რეჟიმისთვის.

სასწავლო მიზანი 2 | **გაიგე განსხვავება „გამოქაჩვასა“ და ხელის კვრას“ შორის, საყრდენ ბურჯებთან ურთიერთობის დროს.**

არაძალადობრივი მოძრაობისთვის უმნიშვნელოვანესია საყრდენ ბურჯებში დასაქმებულ ადამიანებსა და მათ ქცევაზე გავლენის მოხდენა, რის შედეგადაც:

- შესუსტდება მათ მიერ თქვენი ოპონენტის მხარდაჭერა;
- უარს იტყვიან ან ნაკლები ენთუზიაზმით გამოიყენებენ საკუთარ ცოდნასა და უნარებს, დროსა და მატერიალურ რესურსებს, ოპონენტის მიზნებისთვის.

როდესაც არაძალადობრივი მოძრაობა წარმატებულ კამპანიას ატარებს

მინიშნება

არაძალადობრივი ტაქტიკა გამოიყენეთ მაქსიმალური ეფექტურობით. სცადეთ, „გამოქაჩოთ“ მხარდამჭერები საყრდენი ბურჯებიდან და არა პირიქით - „ხელი კრათ“ და მათ კიდევ უფრო მეტ კონსოლიდაციას შეუწყოთ ხელი.

რომელიმე საყრდენ ბურჯთან მიმართებით, აღნიშნული ინსტიტუციის წევრები აუცილებლად მოძებნიან გზებს, რომ მხარი აღარ დაუჭირონ ოპონენტს. ეს შეიძლება გამოიხატოს ღია და ფარული დაუმორჩილებლობით, მითითებების შეუსრულებლობით, დროის გაწელვით ან არასრულად შესრულებით. ზოგი, ღიად ან ფარულად, მხარსაც კი დაუჭერს თქვენს მოძრაობას.

საყრდენ ბურჯებზე გავლენის მოსახდენად, აუცილებელია, კარგად გვესმოდეს განსხვავება „გამოქაჩვასა“ და „ხელის კვრას“ შორის.

მაგალითისთვის, იხილეთ წინა გვერდზე მოყვანილი დიაგრამა. თუ გსურთ ჯარისკაცებს გაუქროთ რეჟიმის მიმართ არსებული ლოიალურობის განცდა, ესაუბრეთ მათ პირისპირ, ქუჩებში, როგორც ამას აკეთებდნენ წარმატებული მოძრაობები და შეახსენეთ, რომ ისინიც არიან მამები, მათაც ყავთ შვილები, მშობლები, მიუთითეთ მათ პატრიოტულ მოვალეობაზე და დაარწმუნეთ, რომ, ოპოზიციის გამარჯვების შემთხვევაში, მათი ცხოვრების ხარისხი უკეთესი იქნება. ამგვარი ქცევა ამცირებს ჯარისკაცების ცენტრისკენ ლოიალობას და მათ უფრო გულისხმიერს ხდის ოპოზიციის მიმართ. ამის საწინააღმდეგოდ, როგორც კი ჯარისკაცებს ემუქრებიან, უწყებენ ქვების სროლას და მიმართავენ შეურაცხმყოფელი სიტყვებით, უფრო მეტად უწყობენ ხელს მათ გაუცხოვებას, რითაც ბურჯის ცენტრისკენ „კრავენ ხელს“. ამიტომაცაა, რომ ზოგჯერ ოპონენტი თავად ცდილობს ძალადობის პროვოცირებას, ოპოზიციის ჩათრევას, რის შედეგადაც იზრდება ჯარისკაცების ლოიალობა და ბრძანებებსაც მეტი ერთგულებით ასრულებენ.

სასწავლო მიზანი 3 | **განმარტეთ, როგორ აღსრულდება ძალაუფლება საყრდენი ბურჯების მეშვეობით და შეაფასეთ თითოეული ბურჯის მნიშვნელობა თქვენს საზოგადოებაში.**

ამ ნაწილში მიმოვიხილავთ რამდენიმე საყრდენი ბურჯის ზოგად დამახასიათებელ თვისებებს.